ბიუჯეტი 2020

2020 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4,5%

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 2,5%

მთავრობის ვალი მშპ-ს 42,5%

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 53 080.6 მლნ ₾

მშპ ერთ სულ მოსახლეზე 4779.8 (აშშ დოლარი)

კაპიტალური ხარჯები მშპ-ს 7.3%

მიმდინარე ხარჯები მშპ-ს 21.5%

ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 2020-2023 წლებში 3.0%

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 14 554.2 მლნ ₾

- შემოსავლები 11 226.9 მლნ ₾
- არაფინანსური აქტივების კლება 130.0 მლნ ₾
- ფინანსური აქტივების კლება 130.0 მლნ ₾
- ვალდებულებების ზრდა 3 067.3 მლნ ₾

გადასახადები 10 465.0 მლნ ₾

გრანტები 241.9 მლნ ₾

სხვა შემოსავლები 520.0 მლნ ₾

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 14 432.9 მლნ ₾

- ხარჯები 10 846.5 მლნ ₾
- არაფინანსური აქტივების ზრდა 2 221.4 მლნ ₾
- ფინანსური აქტივების ზრდა 342.2 მლნ ₾
- ვალდებულებების კლება 1 0227 მლნ ₾

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

მოქალაქეზე ორიენტირებული ბიუჯეტი

2020 წელის სახელმწიფო ბიუჯეტი ემსახურება სამთავრობო პროგრამის შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ამავდროულად მაქსიმალურად არის ორიენტირებული მოქალაქეებზე.

WWW.MOF.GE

USAID
ამერიკელი ხალხისგან

მოქალაქეზე ორიენტირებული ბიუჯეტი 2020

პენსიების ზრდა – დამატებითი ხარჯი 300.0 მლნ ₾

- 2020 წლის იანვრიდან ყველა პენსიონერს, 18 წლამდე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს გაეზრდებათ პენსია 20 ლარით
- 2020 წლის 1 ივლისიდან 70 წელს ზემოთ პენსიონერებს, 18 წლამდე და მკვეთრად გამოხატულ შშმ პირებს პენსია დამატებით გაეზრდებათ 30 ლარი

სკოლის 42 000-ზე მეტ მასწავლებელს გაეზრდება ხელფასი 300 ლარით

პოლიციელებს და მეხანძრე-მაშველებს 2020 წლის 1 ივლისიდან გაეზრდებათ ხელფასი 125 ლარით

პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო პერსონალის ხელფასი გაიზრდება 100 ლარით

საბავშვო ბაღების მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი საშუალოდ 100 ლარით 2020 წლის 1 სექტემბრიდან

დევნილ ოჯახებს გადაეცემათ 1900-ზე მეტი ბინა თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში. ასევე, 1000 სახლი „სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში“

დასრულდება 60-ზე მეტი საჯარო სკოლის მშენებლობა

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მიიმართება 260 მლნ ლარზე მეტი

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად - 3 700.0 მლნ ლარზე მეტი

სამინისტროების დაფინანსება

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 4 363.0 მლნ ₾

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2 071.6 მლნ ₾

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 1 666.5 მლნ ₾

თავდაცვის სამინისტრო 880.0 მლნ ₾
შინაგან საქმეთა სამინისტრო 770.0 მლნ ₾

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 364.0 მლნ ₾

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 353.0 მლნ ₾
იუსტიციის სამინისტრო 224.0 მლნ ₾

საგარეო საქმეთა სამინისტრო 159.0 მლნ ₾

ფინანსთა სამინისტრო 93.0 მლნ ₾

ბიუჯეტი 2020

ბიუჯეტის გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017“ (Open Budget Survey 2017) შედეგებით, საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის, რითაც გაიუმჯობესა პოზიციები და მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგებს შორის.

ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა (eBTPS)

სისტემის მიზანია მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი აზრი გამოხატონ ბიუჯეტის დაგეგმვის მიმართულებით, მიიღონ ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესზე და აქტიურად ჩაერთონ იმ პრიორიტეტების დადგენაში, რომლის დაფინანსებაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სისტემა შედგება ხუთი მოდულისგან: დაგეგმე ბიუჯეტი, მოქალაქის გზამკვლევი, ბიუჯეტის გრაფიკული მონაცემები, საბიუჯეტო კალენდარი, საჯარო ფინანსების მართვა.

WWW.EBTPS.GE